საქართველოს საბაჟო პოლიტიკის სრულყოფის ზოგიერთი ასპექტი

ალეკო მელაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი, საქართველო alekomeladze88@gmail.com

საკვანძო სიტყვები: საბაჟო პოლიტიკა; საბაჟო-სატარიფო რეგულირება; ესპორტის სტიმულირება; ექსპორტის დივერსიფიკაცია; შიდა ბაზრის დაცვა; ადგილობრივი მწარმოებლების დაცვა.

J.E.L. classification: E62, E64, G28 DOI:https://doi.org/10.52244/ep.2021.22.05

ანოტაცია. *ეკონომიკის რეალური სექტორის განუვითარებლობამ საქართველო იმპორტდამოკიდებულ ქვეყნად აქცია. საგარეო სავაჭრო ბრუნვის მთლიან მოცულობაში, უკვე რამოდენიმე ათეული წელია, იმპორტის მოცულობა ექსპორტის მოცულობას დაახლოებით სამჯერ აღემატება. სტატისტიკური მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბოლო პერიოდში სახელმწიფოს მიერ ექსპორტის სტიმულირების მიზნით გატარებული პოლიტიკა არაეფექტურია. ნაშრომში შემოთავაზებულია ექსპორტის სტიმულირებისათვის აუცილებელი რამდენიმე ღონისძიება, ყურადღება გამახვილებულია საბაჟო პოლიტიკის სრულყოფის მნიშვნელოვან ასპექტზე. კერძოდ, ექსპორტის სტიმულირებაზე, ექსპორტის დივერსიფიკაციასა და უცხოური საქონლის კონკურენციისაგან ადგილობრივი მწარმოებლებისა და შიდა ბაზრის დაცვის ღონისძიებების თანამედროვე პრობლემების გამოვლენასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაზე. ადგილობრივი ბაზარი გაჯერებულია იმპორტირებული პროდუქციით და ეს მეტწილად ქვეყნის იმპორტდამოკიდებულების შედეგია. თუმცა, მოჭარბებული იმპორტის ფონზე, ადგილობრივი მწარმოებლებისათვის უსაფრთხო ეკონომიკური პირობების შექმნა სახელმწიფოს საბაჟო პოლიტიკის ინსტრუმენტების აქტიური და გონივრული გამოყენებითაც შესაძლებელია. საქართველოს საბაჟო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს გამოწვევად მიგვაჩნია ადგილობრივი მწარმოებლებისა და შიდა ბაზრის დაცვის თანამედროვე პრობლემებთან გამკლავება.*

ციტირებისთვის: მელაძე ა., (2021) საქართველოს საბაჟო პოლიტიკის სრულყოფის ზოგიერთი ასპექტი. *ეკონომიკური პროფილი* №2(22), გვ. 51–63. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2021.22.05

შესავალი

საბაჟო სისტემა და ზოგადად საბაჟო საქმიანობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური მექანიზმიანებისმიერისახელმწიფოსთვის,რომელმაცყოველთვისუნდააუწყოსფეხიმსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე გლობალურ და ინტეგრაციულ პროცესებს, შეიმუშაოს გონივრული, კარგად მოფიქრებული და მეცნიერულ პრინციპებზე დამყარებული საბაჟო პოლიტიკა, რომელიც საშუალებას მისცემს სახელმწიფოს განავითაროს პრიორიტეტული დარგები, გააღრმავოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები, ხელი შეუწყოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას (ქარუმიძე, 2002:48).

სახელმწიფოს მიერ გატარებული სწორი საბაჟო პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მყარ საფუძველს წარმოადგენს. რადგან საბაჟო პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილია, მისი სწორად წარმართვა დამოკიდებულია ქვეყნის ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილების საბაჟო რეგულირებისა და კონტროლის ინსტიტუტების ეფექტიან გამოყენებაზე.

ქვეყანაში მოქმედი საბაჟო სისტემისა და საბაჟო პოლიტიკის თანამედროვე ტენდენციებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ რეგულირების მექანიზმებს, საბაჟო ორგანოებს (საბაჟო პოლიტიკის განმახორციელებელ სახელმწიფო ორგანოებთან ერთად), საქონლის იმპორტიორებსა და ადგილობრივ მწარმოებლებს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობები ხასიათდება მნიშვნელოვანი ხარვეზებით, რომელთა აღმოფხვრა საჭიროებს შესაბამის ღონისძიებათა სისტემის შემუშავებას საბაჟო პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით. სახელმწიფოს მიერ გატარებული ეფექტიანი საბაჟო პოლიტიკა უზრუნველყოფს ადგილობრივი წარმოებისა და ექსპორტის სტიმულირებას, შიდა ბაზრის დაცვას იმპორტირებული საქონლის კონკურენციისაგან და ექსპორტისა და იმპორტის მოცულობების შედარებით დაბალანსებას. დღეს, როცა საქართველო წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის რელსებზე შემდგარ, განვითარებად სახელმწიფოს, სადაც აქტიურად მიმდინარეობს საფინანსო-ეკონომიკური რეფორმები, თითქმის ყველა დარგსა და სფეროში საბაჟო პოლიტიკის მიმართულებით არსებული პრობლემები უფრო აქტუალური ხდება. შესაბამისად, ჩვენი კვლევის მიზანია საბაჟო პოლიტიკის სრულყოფის პროცესებთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული ხასიათის ზოგიერთი საკითხების შესწავლა, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და წინადადებების მომზადება.

კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომზე მუშაობისას პრობლემის შესწავლა განხორციელდა ძირითადად თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. თვისობრივი კვლევის ფარგლებში მოხდა საკვლევი საკითხის შესახებ სიღრმისეული ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ძირითადად ვიხელმძღვანელეთ სტატისტიკური ინფორმაციით. მიზნების შესაბამისად დამუშავდა რაოდენობრივი მონაცემები, რის საფუძველზეც გამოიკვეთა პრობლემისათვის დამახასიათებელი კონკრეტული ტენდენციები. აღნიშნული მეთოდების საშუალებით შეგროვებული მასალების შედარებისა და გაანალიზების საფუძველზე ჩამოყალიბდა შესაბამისი დასკვნები.

ძირითადი ნაწილი

საბაჟო პოლიტიკის საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანები და განხორციელების ფორმები, რიგ შემთხვევებში, მკვეთრ წინააღმდეგობაში არიან ერთმანეთთან. აქედან გამომდინარე, საბაჟო პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა ხდება ურთიერთსაწინააღმდეგო პრინციპების დაბალანსება, რა დროსაც იქმნება პრიორიტეტების გამოვლენის, საბაჟო პოლიტიკის კორექტირებისა და დაბალანსების აუცილებლობა. ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ეფექტური საბაჟო პოლიტიკა თავისი შინაარსით მოქნილი და მიმდინარე ეკონომიკურ მოვლენებთან და პროცესებთან თავსებადი უნდა იყოს.

თანამედროვე პირობებში საქართველოს საბაჟო პოლიტიკის განვითარება უნდა დაეფუძნოს

საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებსა და სტანდარტებს, ასევე იგი უნდა განვითარდეს პრაქტიკასთან ჰარმონიზაციისა და უნიფიკაციის მიმართულებით აქტიურ საერთაშორისო თანამშრომლობაზე დაყრდნობით (აბელაშვილი, 2011:115). მართალია, თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს საბაჟო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები დაბალი საიმპორტო ტარიფებით, ექსპორტის საბაჟო გადასახადებისაგან გათავისუფლებით, ექსპორტისა და იმპორტის ლიცენზიებისა და ნებართვების მცირე რაოდენობითა და რაოდენობრივი შეზღუდვების არარსებობით ხასიათდება, მაგრამ იგი თანამედროვე ეკონომიკური პრობლემების დაძლევისა და საერთაშორისო გამოწვევებთან გამკლავების თვალსაზრისით ხარვეზებით გამოირჩევა.

სამწუხაროდ, დღეისათვის საქართველოში ეკონომიკის რეალური სექტორი განუვითარებელია. არსებული ტენდენციით ქვეყნის განვითარების მთავარ პრიორიტეტად, მხოლოდ მომსახურების სფერო და ტურიზმი მიიჩნევა. ამის შედეგია, რომ იმ პროდუქციის აბსოლუტური უმეტესობა, რასაც ქვეყნის მოსახლეობა მოიხმარს, იმპორტირებულია.

ეკონომიკის რეალური სექტორის განუვითარებლობა, რომელმაც ექსპორტის მასულმდგმულებლის როლი უნდა შეასრულოს, კარგად ჩანს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბოლო წლების მონაცემებზე დაკვირვებით (იხ. ცხრ. 1).

ცხრილი 1

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლები 2017-2021 წწ.[1] (მლნ. აშშ დოლარი)

	2017	2018	2019	2020	2021
ექსპორტი	2 745.7	3 379.7	3 798.4	3 343.4	2605.5
იმპორტი	8 057.2	9 361.8	9 519.2	8 052.9	6072.9
ბრუნვა	10 802.9	12 741.5	13 317.6	11 396.3	8678.4
სალდო	-5 311.4	-5 982.1	-5 720.8	-4 709.4	-3467.4

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

იმპორტის მოცულობა ექსპორტის მოცულობას თითქმის სამჯერ აღემატება. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ექსპორტი მოიცავს რეექსპორტსაც (მთლიან ექსპორტში რეექსპორტის ხვედრითი წილი საქართველოში საშუალოდ დაახლოებით 22-24%-ია), მაშინ თანაფარდობა კიდე უფრო დიდი იქნება. 2018 და 2019 წლებში ექსპორტის მოცულობის მცირე ზრდა შეინიშნება, 2020 და 2021 წელს (იანვარი-აგვისტოს წინასწარი მონაცემები) კი ექსპორტის მოცულობა იკლებს, რაც მეტწილად განპირობებულია კოვიდ პანდემიით გამოწვეული მდომარეობით. ამავე პერიოდში (2017, 2018, 2019 წლებში) ექსპორტის მცირე დოზით ზრდასთან ერთად ადგილი აქვს იმპორტის მოცულობის ზრდასაც, რაც გვაფიქრებინებს იმაზე, რომ ეს ზრდა გამოწვეულია არა იმდენად წარმოების მოცულობის გაზრდით, არამედ მსოფლიო ბაზარზე საქონლისა და მომსახურების ფასების საერთო დონის ზრდით.

იგივე პარამეტრების მიხედვით უფრო ადრინდელ მონაცემთა ანალიზმაც გვიჩვენა, რომ თანაფარდობა ექსპორტსა და იმპორტს შორის მნიშვნელოვნად არ იცვლება.

1 შენიშვნა: 2021 წლის მაჩვენებლებად აღებულია იანვარ-აგვისტოს საპროგნოზო მონაცემები

ეს ტენდენცია იძლევა იმის აღნიშვნის საფუძველს, რომ ბოლო წლების განმავლობაში ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკის ღონისძიებები ვერ აღწევს დასახულ მიზანს. ამის ერთ-ერთ მთავარი მიზეზად მიგვაჩნია ექსპორტის დივერსიფიკაციის დაბალი დონე როგორც საექსპორტო პროდუქციის, ასევე საექსპორტო ქვეყნების მხრივ. დღეისათვის რეალური ექსპორტის ძირითადი ნაწილი მოდის ნედლეულის ექსპორტზე, ბაზრების დივერსიფიკაციის ტემპები კი არადამაკმაყოფილებელია. სხვა ფაქტორებთან ერთად, აღნიშნულ პრობლემას დიდწილად განაპირობებს ტექნოლოგიური განვითარების დონისა და ინოვაციის არსებული პრობლემები. ექსპორტის განხორციელებისათვის აუცილებელი დამხმარე ინფრასტრუქტურის არარსებობა იწვევს პოტენციური საექსპორტო ბაზრების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას და საქსპორტო, ქართული პროდუქციის არასაკმარის ცნობადობას. ექსპორტის ზრდის შემაფერხებელი ფაქტორია, ასევე, საერთაშორისო ვაჭრობაში არსებული ტექნიკური ბარიერები.

აქედან გამომდინარე, ქვეყნის საბაჟო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად ექსპორტის სტიმულირების ღონისძიებების განხორციელება გვესახება. ჩვენი აზრით, კონკრეტული ღონისძიებები, რომელიც სახელმწიფომ ექსპორტის სტიმულირებისათვის და საექსპორტო საქონლის მოცულობის ზრდისთვის უნდა გამოიყენოს, შემდეგია:

1. თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნა (ქვეყანაში არსებული თავისუფალი ინდუსტრიული და ეკონომიკური ზონების რაოდენობა არასაკმარისია რელური შედეგის მისაღებად). საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით, თავისუფალ ზონაში საქონლის შეტანა თავისუფლდება იმპორტის გადასახდელებისაგან, ხოლო იქ წარმოებული პროდუქციის ექსპორტირებისას არ გადაიხდევინება ექსპორტის გადასახდელები (საქართველოს საბაჟო კოდექსი, 2019). ამიტომ, ამ შემთხვევაში თავისუფალ ზონებში საქმიანობის ძირითადი პროფილი საექსპორტო პროდუქციის წარმოება უნდა იყოს.
2. ექსპორტის წამახალისებელი ორგანიზაციების შექმნა (ორგანიზაციები, რომლებიც პოტენციურ ექსპორტიორებს დახმარებას გაუწევს იურიდიულ საკითხებში, მარკეტინგულ საკითხებში, დაფინანსების მოპოვებაში, საერთაშორისო სტანდარტების შესახებ ინფორმაციების მოპოვებაში და ა. შ.);
3. ტექნოლოგიური განვითარებისა და ინოვაციების მნიშვნელობის ამაღლება, რომელიც მიმართული იქნება ექსპორტის დივერსიფიცირებისაკენ (საექსპორტო ქვეყნებისა და საექპორტო პროდუქციის დივერსიფიკაცია);
4. სავაჭრო და საბაჟო ბარიერების შემსუბუქება, ტექნიკური ბარიერების ჩათვლით (მათ შორის, პროდუქტის ხარისხის კონტროლის ეროვნული ინფრასტრუქტურის განვითარება და ინტეგრაცია საერთაშორისო სისტემებში);
5. ექსპორტის ფინანსური სტიმულირების მექანიზმების გამოყენება (საექსპორტო საქონლის საწარმოებლად იაფი ფინანსური რესურსების (საბანკო კრედიტების) გამოყენების შესაძლებლობა, ექსპორტთან დაკავშირებული საქმიანობის დაზღვევის პაკეტების შეთავაზება და სხვ.);

6. საგადასახადო შეღავათების გამოყენება, მათ შორის საექსპორტო პროდუქციის საწარმოებლად გამოყენებულ იმპორტირებულ საქონელზე გადახდილი გადასახადების უკან დაბრუნება.

გარდა ექსპორტის სტიმულირების ღონისძიებების განხორციელებისა, ჩვენი აზრით, სახელმწიფო საბაჟო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ქვეყნის საექსპორტო ბაზრების გაფართოებისაკენ, საექსპორტო ქვეყნებისა და საექსპორტო პროდუქციის დივერსიფიკაციისაკენ, რაც, თავის მხრივ, შეიძლება იყოს ექსპორტის მასტიმულირებელი ერთ-ერთი ფაქტორიც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღეისათვის საექსპორტო პროდუქციის ძირითადი ნაწილი არის ნედლეული, ფეროშენადნობები, სპილენძის მადნები, მინერალური წყლები და ზოგიერთი აგრარული პროდუქტი. მსგავსი პროდუქტები არის დაბალი დამატებული ღირებულების მქონე, მისი ექსპორტირება არ საჭიროებს საწარმოო პროცესების გააქტიურებას და ამ პროცესებში არის ჩართული ადგილობრივი მუშახელი. გამომდინარე აქედან, ყველა ის დადებითი ეკონომიკური ეფექტი რაც შეიძლება ახლდეს ქვეყნიდან საქონლის ექსპორტირებას, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვნად დაბალ დონეზეა ან საერთოდ არ არსებობს. ამიტომ, სახელმწიფო საბაჟო პოლიტიკის ორიენტირი უნდა იყოს ქვეყნიდან მზა პროდუქციის და არა ნედლეულის ექსპორტის წახალისება. შედეგად მივიღებთ ფულად ერთეულში გამოხატულ ექსპორტის გაზრდილ მოცულობას, უმუშევრობის დონის შემცირებასა და წარმოების ზრდას.

საექსპორტო ქვეყნების მიხედვით ექსპორტის დივერსიფიკაციისათვის უმნიშვნელოვანესია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით (DCFTA) გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება. ის გარემოება, რომ ევროკავშირის ქვეყნები და მთლიანად ევროპის რეგიონი საქართველოსთვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური პარტნიორია, გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება ევროპის რეგიონთან (ექსპორტის მოცულობის ზრდის ხარჯზე) თანამედროვე საქართველოს საბაჟო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება უნდა იყოს.

ბოლო რამოდენიმე წლის მონაცემებს თუ დავაკვირდებით, ევროპის რეგიონს საქართველოსთვის, ექსპორტის მხრივ, მნიშვნელოვანი წილი უჭირავს, თუმცა არასაკმარისი.

ცხრილი 2

საქართველოს საგარეო ვაჭრობა გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით
2017-2020 წწ. მლნ. აშშ დოლარი

	2017	2018	2019	2020
ექსპორტი, სულ	2 745.7	3 379.7	3 798.4	3 343.4
აზია	1281.1	1705.0	1900.2	1645.6
ევროპა	1287.8	1455.7	1717.0	1541.1
მათ შორის, ევროკავშირი	*655.4*	*729.2*	*834.9*	*716.5*
ამერიკა	143.2	198.6	165.7	114.9

აფრიკა	32.6	19.2	14.0	35.3
ოკეანეთი	1.0	1.2	1.4	6.5

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2017 წელს ევროპაზე მოდიოდა საქართველოს მთლიანი ექსპორტის 46.9%, 2018 წელს - 43.1%, 2019 წელს - 45.2%, 2020 წელს - 46.1%. საშუალოდ კი ბოლო 4 წლის მონაცემებით, ევროპის ბაზარი საქართველოსთვის მთლიანი საექსპორტო ბაზრის 45%-ზე მეტს შეადგენს. ევროკავშირის ქვეყნები კი საქართველოსთვის მთლიანად ევროპის რეგიონის საექსპორტო ბაზრის დაახლოებით ნახევარია, შესაბამისად იგი მთლიანი ექსპორტის დაახლოებით 22-24%-ს შეადგენს.

დღეისათვის სავაჭრო ურთიერთობები საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხორციელდება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმების (Deep and Comprehensive Free Trade Area – DCFTA) ფარგლებში. ის ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია და ამოქმედდა 2014 წლის 1 სექტემბრიდან. იგი არამარტო საქართველო-ევროკავშირის ურთიერთვაჭრობაში გამოყენებულ სავაჭრო პოლიტიკის ინსტრუმენტებს ადგენს, არამედ ვაჭრობასთან დაკავშირებულ ფართო ინსტიტუციურ ჩარჩოს განსაზღვრავს (პაპაჩაშვილი, 2018: 43).

საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შეთანხმებით ხაზგასმულია მხარეთა სურვილი, განავითარონ თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები. ეს ფაქტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ევროკავშირის საბაზრო სისტემაში მოქმედებს პრეფერენციების განზოგადებული სისტემა, რომელიც განვითარებადი სახელმწიფოებისათვის სავაჭრო ტარიფებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებას გულისხმობს (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო).

ასოც. პროფ. გ. აბუსელიძის კვლევის თანახმად DCFTA გრძელვადიან პერსპექტივაში საგრძნობ ცვლილებებს მოუტანს საქართველოს ექსპორტ-იმპორტს, მშპ-ს ზრდას, საშუალო ხელფასებსა და მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობას. თუმცა, მოკლევადიან პერსპექტივაში ბევრ რესურსს წაიღებს კანონმდებლობის აპროქსიმაციასთან დაკავშირებული დეტალების და მოკლევადიანი სტატიკური ეფექტების გამო. შესაბამისად, რეკომენდირებულია აპროქსიმაციის თანდათანობითი განხორციელება მოკლევადიანი დანაკარგების თავიდან აცილების და განვითარების უკეთესი მონიტორინგისა და პროგნოზის მიზნით (Abuselidze, 2019: 65).

ევროკავშირის ფარგლებში არსებული სავაჭრო შეღავათების გავრცელება საქართველოზე, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეღავათების სისტემასთან ერთად, უაღრესად მნიშვნელოვანია. იგი გვევლინება ადგილობრივი წარმოების ზრდის სტიმულირების ფორმად, კერძოდ, საექსპორტო საქონლის მოცულობისა და მრავალფეროვნების ზრდის ხარჯზე. საჭიროა ამ სტიმულის გააქტიურება სახელმწიფო პოლიტიკის საშუალებით.

საექსპორტო ბაზრების გაფართოების მიზნით, გარდა ევროპის რეგიონის და ევროკავშირის ქვეყნების ბაზრებისა, მნიშვნელოვანია ასევე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წევრობით მიღებული პრივილეგიის (შეღავათების) გამოყენება და საექსპორტო პროდუქციის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების, მითუფრო, განვითარებული სახელმწიფოების ბაზარზე გატანა.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში შეიქმნა შეღავათების განზოგადებული სისტემა (GSP). მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ რეგულირებული გამონაკლისის ნორმის ეფექტურად გამოყენება მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. სავაჭრო და საბაჟო პოლიტიკის განხორციელებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული და საექსპორტო ბაზრების გაფართოების მიზნით მომგებიანად გამოყენებული.

მაგალითად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2020 წელს საქართველოდან აშშ-ში განხორციელდა მხოლოდ 80.04 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების საქონლის ექსპორტი, იაპონიაში კი მხოლოდ 16.74 მილიონი დოლარის ღირებულების საქონლის ექსპორტი, (მთლიანი ექსპორტის, შესაბამისად 2.4% და 0.5%) რაც ჩვენი შეფასებით დაბალი მაჩვენებელია. ვინაიდან აღნიშნული ქვეყნები წარმოადგენენ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ განვითარებულ სახელმწიფოებს, მსგავსი ქვეყნების ბაზრების ხარჯზე საქართველოს საექსპორტო ქვეყნების დივერსიფიკაცია საქართველოს საბაჟო პოლიტიკის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად მიგვაჩნია.

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი ფაქტებისა და მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ექსპორტის დივერსიფიკაციის მიზნით სახელმწიფო საბაჟო პოლიტიკის ღონისძიებები უნდა მოიცავდეს:

1. საექსპორტო პროდუქციის გამრავალფეროვნებისა და დივერსიფიკაციისათვის საჭირო ღონისძიებებს, რომლის მთავარი ორიენტირი უნდა იყოს არა ნედლეულის ექსპორტი, არამედ უფრო მაღალი დამატებული ღირებულების მქონე პროდუქციის ექსპორტი;
2. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებისა და მისი უმნიშვნელოვანესი ნაწილის - ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით (DCFTA) - გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისათვის აუცილებელ ღონისძიებებს;
3. ღონისძიებებს, რომლებიც დაკავშირებულია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში მოქმედი პრეფერენციების განზოგადებული სისტემის გამოყენების უპირატესობებთან, რომლის საშუალებითაც საქართველოს ექსპორტის წილი ევროკავშირის წევრი ქვეყნების ბაზარზე უნდა გაიზარდოს;
4. ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობით მიღებული უპირატესობის - ნებისდამრთველი ნორმის - გამოყენების აუცილებლობასთან, რომლის საშუალებითაც საქართველოს ექსპორტის წილი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ბაზარზე უნდა გაიზარდოს;
5. უცხო ქვეყნების პროდუქციის სტანდარტიზაციის სისტემის შესახებ ინფორმაციის მოპოვებისა და ამ ინფორმაციის ადგილობრივი პოტენციური ექსპორტიორებისათვის გადაცემის უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

საერთაშორისო პრაქტიკასა და გამოცდილებაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ შიდა ბაზრის დაცვის მიზნით, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური შედეგების მომტანი შეიძლება იყოს საბაჟო-სატარიფო პოლიტიკის განხორციელების მექანიზმად ჩვეულებრივი, სეზონური, სპეციალური, ანტიდემპინგური და საკომპენსაციო საბაჟო გადასახადების გამოყენება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსისი 197-ე მუხლის თანახმად, დღეისთვის საქართველოში, ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადის სახით, მოქმედებს იმპორტის გადასახადის 5% და 12%-იანი განაკვეთები, საქონლის სახეობების მიხედვით (საგადასახადო კოდექსი, 2019). თანამედროვე პირობებში კი სასურველია აღნიშნული მუხლის გადახედვა და განაკვეთების უფრო მეტად დიფერენცირება, რათა მან ადგილობრივი ბაზრის დაცვის ფუნქცია რელურად შეასრულოს.

სეზონური საბაჟო გადასახადის გამოყენებით შიდა ბაზრის დაცვა შესაძლებელია კონკრეტული პროდუქციის წარმოების სეზონური თავისებურებების გათვალისწინებით. ჩვენი აზრით, თანამედროვე პირობებში სეზონური საბაჟო გადასახადები შეიძლება შემოღებულ იქნას სოფლის მეურნეობის პროდუქტების (მაგალითად, ციტრუსი და სხვა ხილი, პომიდორი და სხვა ბოსტნეული და ა. შ.) იმპორტირების შემთხვევაში, გარკვეული დროის დიაპაზონში, როცა კონკრეტული პროდუქციის ადგილობრივი წარმოების მოცულობას აქვს შესაძლებლობა დააკმაყოფილოს ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილებები.

სპეციაური საბაჟო გადასახადის გამოყენება ეფექტური შეიძლება იყოს სამშენებლო პროდუქციის გარკვეული სახეობების იმპორტირების შემთხვევაში. თანამედროვე პირობებში აღნიშნულ საქონელზე დიდი მოთხოვნილებაა, ბაზარი კი გაჯერებულია უცხოეთიდან იმპორტირებული საქონლით, რაც მსგავსი საქონლის ადგილობრივ პოტენციურ და მოქმედ მწარმოებლებს მნიშვნელოვანი ეკონომიკური წნეხის ქვეშ აქცევს. საბაჟო სატარიფო პოლიტიკის ამ მექანიზმის ამოქმედებით კი ადგილობრივი მწარმოებლებისთვის ეკონომიკური წნეხი მნიშვნელოვნად შემცირდება.

ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადის გამოიყენება საბაჟო სატარიფო პოლიტიკის განხორციელების მექანიზმად კონკრეტული გარემოებების დადგომის ფაქტზეა დამოკიდებული, და შესაბამისად, კონკრეტული გარემოებების არსებობის შემთხვევაში სახელმწიფომ უნდა დაიტოვოს რეგულირების ამ მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობა. ამ ეტაპზე კი აუცილებელია მსგავსი გარემოებების დადგენის შესაძლებლობა.

საკომპენსაციო საბაჟო გადასახადის გამოყენებისას, ჩვენს შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ გადასახადის განაკვეთი იყოს იმ დონეზე, რაც საკმარისი იქნება სუბსიდირებული თანხის კომპენსირებისათვის და კონკრეტული იმპორტირებული საქონლის რეალურ ღირებულებამდე მიყვანისათვის. ეს პრაქტიკაში მოგვცემს იმ ეფექტს, როცა აღნიშნული ქმედება იმპორტირებული საქონლის მსგავსი საქონლის მწარმოებლებისათვის, და ზოგადად, ადგილობრივი ბაზრისათვის ზიანის მომტანი აღარ იქნება.

საბაჟო პოლიტიკის განხორციელებისას, სახელმწიფო უფლებამოსილია, სისტემატურად წარმოებული ანალიზის საფუძველზე დადგენილი, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის მიხედვით, გამოიყენოს ზემოთ ჩამოთვლილ საბაჟო-სატარიფო ინსტუმენტთაგან ერთ-ერთი, ან მათგან რამოდენიმეს ურთიერთკორელაცია, წინასწარ განსაზღვრული კონკრეტული შედეგების მისაღებად.

ზემოთ ჩამოთვლილი საბაჟო პოლიტიკის კონკრეტული ინსტრუმენტის გამოყენებისათვის აუცილებელია ვაჭრობის რეპრესალიების მომწესრიგებელი სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რადგანაც საქართველოს მიერ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებით

აღებულ იქნა ვალდებულება არ განეხორციელებინა ვაჭრობის რეპრესალიები (დაცვის, ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ბაჟის დაკისრების ღონისძიებები) მანამ, სანამ შესაბამისი მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები არ იქნებოდა ქვეყანაში მიღებული. საყურადღებოა, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ითვალისწინებს მსგავსი ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობას.

ამჟამად საქართველოში ვაჭრობის რეპრესალიების მარეგულირებელი კანონმდებლობის არარსებობა მნიშვნელოვნად აფერხებს სრულყოფილ საბაჟო პოლიტიკის განხორციელებას. მართალია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში ქვეყანა არ არის ვალდებული უზრუნველყოს მსგავსი კანონმდებლობის არსებობა, მაგრამ, ჩვენი აზრით, საქართველოში ადგილობრივი ბაზრის დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების განსახორციელებლად ამგვარი კანონმდებლობის მიღება აუცილებელია

ამრიგად, თანამედროვე პირობებში, ჩვენი ქვეყნისათვის უმთავრესი ამოცანაა ვაჭრობის რეპრესალიების მარეგულირებელი კანონმდებლობის მიღება, რის საფუძველზეც საბაჟო პოლიტიკის განხორციელებისას რეგულირების ინსტრუმენტად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სეზონური საბაჟო გადასახადები, სპეციალური საბაჟო გადასახადები, ანტიდემპინგური და საკომპენსაციო საბაჟო გადასახადები. სახელმწიფო საბაჟო პოლიტიკის გატარებისას აღნიშნული ინსტრუმენტების გამოყენება, სახელმწიფო საკონკურენციო პოლიტიკასთან ერთად, მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ადგილობრივი მეწარმეებისა და შიდა ბაზრის დაცვას უცხოური საქონლის კონკურენციისაგან, რაც დამატებითი სტიმული იქნება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის.

დასკვნა

დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც წარმოადგენენ ნაშრომის ცალკეულ ნაწილებში გამოკვეთილი საკითხების გაანალიზების საფუძველზე წარმოდგენილ შემაჯამებელ წინადადებებს, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი სახით:

1. საბაჟო პოლიტიკის განხორციელებისას, ექსპორტის სტიმულირების მიზნით სახელმწიფომ უნდა შექმნას უფრო მეტი თავისუფალი ინდუსტრიული ზონები და უნდა მოხდეს იქ წარმოებული პროდუქციის ექსპორტირება. სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია ექსპორტის წამახალისებელი ორგანიზაციების შექმნა, რომლებიც ექსპორტიორებს დახმარებას გაუწევს ექსპორტთან დაკავშირებული სხვადასხვა პროცედურების განხორციელებაში. სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს ექსპორტის ფინანსური სტიმულირების მექანიზმები, უპირატესად, იაფი საბანკო კრედიტებისა და დაზღვევის პაკეტების ექსპორტიორებისათვის შეთავაზების სახით. სახელმწიფომ უნდა აამოქმედოს საგადასახადო შეღავათების სისტემა, შეამსუბუქოს საბაჟო, სავაჭრო და ტექნიკური ბარიერები ექსპორტის განხორციელებისას;

2. ექსპორტის დივერსიფიკაციის მიზნით სახელმწიფო საბაჟო პოლიტიკის ღონისძიებები უნდა მოიცავდეს საექსპორტო პროდუქციის მრავალფეროვნებასა და საქსპორტო ქვეყნების დივერსიფიკაციას, უფრო მაღალი დამატებული ღირებულების მქონე პროდუქციის ექსპორტის წამახალისებელ ღონიძიებებს და არა ნედლეულის ექსპორტირებისაკენ მიმართულ მოქმედებებს. ექსპორტის გაფართოების ღონისძიებების განხორციელებისას მთავარ ორიენტირად აღებული

უნდა იქნეს ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ბაზრები, ამ ქვეყნებში მოქმედი საბაჟო პრეფერენციების სახით არსებული უპირატესობის გამოყენების მიზნით;

3. ქვეყნის შიდა ბაზრის დაცვის მიზნით განსახორციელებელი ეფექტური საბაჟო პოლიტიკის მთავარ გამოწვევად ვაჭრობის რეპრესალიების მარეგულირებელი კანონმდებლობის მიღება გვესახება, რაც სახელმწიფოს მისცემს საშუალებას თავისუფლად გამოიყენოს საბაჟო-სატარიფო რეგულირების ღონისძიებები და მისი განხორციელების ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა სეზონური, სპეციალური, ანტიდემპინგური და საკომპენსაციო საბაჟო გადასახადები. ჩვენი აზრით, აღნიშნული ინსტრუმენტების ეფექტურად გამოყენება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადგილობრივი წარმოების სტიმულირებას, ადგილობროვი მწარმოებლებისა და შიდა ბაზრის უცხოური საქონლის კონკურენციისაგან დაცვის საშუალებით.

ლიტერატურა

1. აბელაშვილი, ნ. (2011). პროდუქციის ხარისხის აუდიტი და ექსპერტიზა საბაჟო სისტემაში. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა;
2. პაპაჩაშვილი, ნ. (2018). არასატარიფო ზომები საქართველო-ევროკავშირის ვაჭრობაში სავაჭრო ნეოპროტექციონიზმის კონტექსტით. თბილისი: ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“;
3. ქარუმიძე, ვ. (2002). საბაჟო საქმე. თბილისი;
4. Abuselidze, G. (2019). European Integration of Georgia and Financial-Economic Condition: Achievements and Challenges. European Journal of Sustainable Development. 8(1), p.53-68.
5. მსოფლიო სავაჭრი ორგანიზაცია. www.wto.org
6. საქართველოს საბაჟო კოდექსი. (2019) თბილისი;
7. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. (2019) თბილისი;
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge
9. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. www.mfa.gov.ge
10. DCFTA-ის შესახებ ვებგვერდი. www.dcfta.gov.ge